შპს "უ&ნ ჯგუფი"

საქართველო, ქუთაისი, კოტე მესხის ქუჩა #9, ბინა 38. ელ.ფოსტა:ungrup2018@gmail.com, ტელ: (+995) 599 127 602

#

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „უ&ნ ჯგუფი" (ს/კ 412735811) გეგმავს ქ. ქუთაისში, გუგუნავას ქუჩა #1-ში პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) და პლასტმასის ნაკეთობების (პლასტმასის მილები) საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას.

შ.პ.ს. „უ&ნ ჯგუფი"-ს დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის 10.3 პუნქტით (ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასაწარი დამუშავების) გათვალისწინებულ საქმიანობას, ამიტომ დაგეგმილმა საქმიანობამ ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად გაიარა სკრინინგის პროცედურა და სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 01 ნოემბრის #2-885 ბრძანების თანახმად, აღნიშნული საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, წარმოგიდგენთ დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

დანართი:
1. შ.პ.ს. „უ&ნ ჯგუფი"-ს პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) და პლასტმასის ნაკეთობების (პლასტმასის მილები) საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში;
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,
ომარ აიდინ
დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 1564
05 02 2019
1 ფ.
02